23.09.2013

№258

საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE

№ 2431

„13" 09 2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)

დირექტორს სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2013 წლის 30 აგვისტოს #469 და #149 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 710,385 ბენეფიციარმა მიიღო 195,545,543 ლარის ჯამური ღირებულების სასოფლო–სამეურნეო ბარათი. აქედან:

კომბინირებული: 431,059 ბენეფიციარმა 55,575,925 ლარის ღირებულების ხვნის და დადისკვის, ასევე 79,394,178 ლარის ღირებულების ნომინალური ბარათი მიიღო.

ნომინალური: 279,326 ბენეფიციარმა 6 0,575,440 ლარის ღი რებულების ნომინალ ური ბარათი მიიღო.

სასოფლო–სამეურნეო ბარათების დარიგება 11 თებერვალს დაიწყო (ქვემო ქართლის რეგიონიდან და აგროვადების გათვალისწინებით გაგრძელდა კახეთის, შიდა ქართლის, შემდეგ კი მთელი დასავლეთ საქართველოს რეგიონებში) და დამთავრდა 12 აგვისტოს (კახეთის რეგიონში დამატებითი სიების დარიგებით).

პროექტის ფარგლებში სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის მაღაზიებში ბარათებზე გაიყიდა:

- სასუქი – 82.359.731,06 ლარის
- სასოფლო ინვენტარი - 61.202.061,18 ლარის
- პესტიციდები – 37.735.593,69 ლარის
- სათესლე და სარგავი მასალა – 7.683.375,65 ლარის
- ვეტ.პრეპარატები – 264.943,99 ლარის

რაც შეეხება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს", დღეის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ბიუჯეტი გათვლილია 190 მილიონი ლარის შეღავათიანი აგროკრედიტების პორტფელის მომსახურებაზე.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" დაწყების დღიდან მცირე ფერმერებისთვის (უპროცენტო სასაქონლო კრედიტი) 2685 ფერმერზე გაიცა 1,106,478 ლარის სასაქონლო განვადება.

საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის 48,433,133 ლარის კრედიტი გაიცა 2432 ფერმერზე.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში სასოფლო–სამეურნეო საწარმოებისთვის 212 ფერმერზე 27.397.453,23 აშშ დოლარის კრედიტი გაიცა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

"შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში სულ გაცემულია 114.374.368,64 ლარი 5237 ბენეფიციარზე.

თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე გახსნილი საწარმოების რაოდენობასა და მათი საქმიანობის სფეროს შესახებ გაცნობებთ, რომ დღეის მონაცემებით, ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში (პროექტი დაიწყო 27.03.2013.) დაფინანსებულია 50 ახალი საწარმო სხვადასხვა დარგების მიხედვით: მეთევზეობა, მერძევეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეღვინეობა, სასათბურე და სასაწყობო-სამაცივრე მეურნეობა, სოკოს წარმოება, ყველის წარმოება, ვაშლის ბაღის გაშენება, თხილის გადამუშავება, სასაწყობო და საშრობი მეურნეობა (მარცვლეული), სოიოს გადამუშავება.

რაც შეეხება ,,სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ბიუჯეტს და საქმიანობას, გაცნობებთ რომ დღეისათვის ა(ა)იპ "სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი"-ს მიერ ხორციელდება ორი პროექტი: "მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი" და "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი", რომლებიც დამტკიცებულ იქნა ა(ა)იპ "სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი"-ს გამგეობის მიერ.

დამტკიცებული პროექტების დასაფინანსებლად ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს" გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქართუ"-სთან და მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან". 2013 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქართუ"-ს ზემოაღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად გადმორიცხული აქვს საერთო ჯამში 192,293,050.00 (ასოთხმოცდათორმეტი მილიონ ორასოთხმოცდაცამეტი ათას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ"-ს - 11,000,000.00 (თერთმეტი მილიონი) ლარი. თანხების ჩარიცხვა ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი"-ს საბანკო ანგარიშზე ხორციელდება ეტაპობრივად, დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტების შესაბამისად.

რაც შეეხება ფონდის მიერ სამომავლოდ სხვა პროექტების დაფინანსებას, შესაბამისი ახალი პროექტების ამოქმედებასთან ერთად საზოგადოებას დაუყოვნებლივ მიეწოდება ამომწურავი ინფორმაცია მათ შესახებ.

ასევე გვინდა გაცნობოთ, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ ''სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო'', რის შემდეგაც ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განისაზღვრება აღნიშნული სააგენტოს ბიუჯეტი.

პატივისცემით,

დავით ტყემალაძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი